



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი
აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 30

18 დეკემბერი 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი
„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ (09-01-
08/70 12.12.2018 წელი)

დასახელება

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობის“ წევრები
გია აბულაძე, ასმათ დიასამიძე, გიორგი
დიასამიძე, ელგუჯა ბაგრატიონი

ავტორი

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა

ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი;

წამყვანი კომიტეტი

12.12.2018 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვანი კომიტეტი: 10.01.2019 წელი
სხვა კომიტეტები: 3.01.2019 წელი

საკომიტეტო მოსმენის ვადა

სხდომაზე განხილვის თარიღი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტი რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

17/12/2018

N 2944

2944-09-02-11-3-201812171020



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დასკვნა

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის
შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილების პროექტის თაობაზე
(N09-01-08/70, 12.12.2018 წ. ინიციატორი: უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80
მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის
მიერ განხილულ იქნა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის
წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება „აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონის მე-18 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენიშვილის ქ. №25

10 დეკემბერი 2018 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ასლი: საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო დავით,
ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ განსახილველად „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტს; გთხოვთ დაიწყოთ უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვა და მოწონების შემდეგ განხორციელდეს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა.

პატივისცემით,

უმაღლესი საბჭოს წევრი
გია აბულაძე

უმაღლესი საბჭოს წევრი
ასმათ დიასამიძე

უმაღლესი საბჭოს წევრი
გიორგი დიასამიძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ელგუჯა ბაგრატიონი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებული იქნას „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების თანდართული კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენილი იქნას განსახილველად საქართველოს პარლამენტში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი

2018 წლის -----

№ -----



საქართველოს კანონი
„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (მიღების თარიღი 26.12.2008წ, N880-რ, სარეგისტრაციო კოდი 010.230.000.05.001.003.421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-III თავს დაემატოს მე-14 მუხლი:

მუხლი 14. ავტონომიური რესპუბლიკაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურის შეთანხმება

1. გენერალური აუდიტორის მიერ წარდგენილ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურის შეთანხმების საკითხს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო განიხილავს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესით.

2. შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას ავტონომიურ რესპუბლიკაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურის შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.

3. კანდიდატურის შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში გენერალური აუდიტორი წარუდგენს შესაბამის უმაღლეს საბჭოს იგივე ან სხვა კანდიდატურას. ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი ხელმძღვანელი უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს სამი თვის ვადაში. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე მოვალეობას ასრულებს გენერალური აუდიტორის მიერ დანიშნული მოვალეობის შემსრულებელი.

2. 31-ე მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი:

„6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მთავრობის, სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებულ აუდიტებს. ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა. ყოველწლიური ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.“

3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



საქართველოს პრეზიდენტი

თბილისი,

2018 წლის

№

გიორგი მარგველაშვილი



მოქმედი რედაქცია

თავი III. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზება და სტრუქტურა

მუხლი 8. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სისტემა

+

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი.
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისაგან, მათ შორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურას განსაზღვრავს გენერალური აუდიტორი.
3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურში იქმნება პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობასა და წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს გენერალური აუდიტორი.
4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ამ კანონისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 9. გენერალური აუდიტორი

+

1. გენერალურ აუდიტორს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.
[1. გენერალურ აუდიტორს 5 წლის ვადით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. (ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)]
2. გენერალურ აუდიტორს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო ან/და შემოქმედებითი საქმიანობისა.
3. გენერალური აუდიტორი თანამდებობაზე ყოფნის მთელის პერიოდის განმავლობაში არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს სხვა პოლიტიკურ საქმიანობას.
4. უზრუნველყოფილი უნდა იყოს გენერალური აუდიტორის უფლებამოსილების დამოუკიდებლობა. არავის არ აქვს უფლება, ჩაერიოს ან ზეგავლენა მოახდინოს მის გადაწყვეტილებაზე.
5. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დადგენილი წესით უზრუნველყოფენ გენერალური აუდიტორის პირად უსაფრთხოებას.

მუხლი 10. გენერალური აუდიტორის უფლებამოსილება

+

გენერალური აუდიტორი:

- ა) წარმართავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- ბ) იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გ) თავმჯდომარეობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხელეებს; შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში იღებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სხვა საჯარო მოსამსახურეებს;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით;

ვ) განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ზღვრულ რიცხოვნობას;

ზ) ამტკიცებს საშტატო ნუსხას, განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობების დასახელებებს და თანამდებობრივ სარგოებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების ფონდის ფარგლებში;

თ) ორგანიზებას უწევს ერთგვაროვანი აუდიტორული პრაქტიკის განვითარების მიზნით აუდიტის შედეგებზე ჩამოყალიბებული შეფასებების განხილვას;

ი) უფლებამოსილია მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების და მინიჭებული უფლებების განხორციელების მიზნით გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებები;

კ) საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით გათვალისწინებულ მოხსენებებსა და ანგარიშებს;

ლ) წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

მ) გამოსცემს ნორმატიულ აქტს – ბრძანებას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

ნ) ამტკიცებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსს;

ო) ქმნის კომისიებსა და სპეციალურ სამუშაო ჯგუფებს;

პ) განსაზღვრავს გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილისა და მოადგილეების ფუნქციურ მოვალეობებს და ახდენს მათზე უფლებამოსილების დელეგირებას;

ჟ) უფლებამოსილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლობის უფლება მიანიჭოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეს;

რ) უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის კომიტეტის, საპარლამენტო ფრაქციის ან/და პარლამენტის საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომას. ამასთანავე, მას მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს საქართველოს პარლამენტმა, პარლამენტის კომიტეტმა, საპარლამენტო ფრაქციამ ან/და პარლამენტის საგამოძიებო ან სხვა დროებითმა კომისიამ;

ს) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ, აჯილდოებს მათ უწყებრივი ჯილდოებით, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით; საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურისათვის სახელმწიფო ჯილდოს მინიჭების შესახებ;

ტ) განსაზღვრავს ფულადი ჯილდოს ოდენობას, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – ერთჯერადი დახმარების ოდენობას;

უ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 11. გენერალური აუდიტორის ხელშეუხებლობა

+

1. გენერალური აუდიტორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ საქართველოს პარლამენტი მომდევნო 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული გენერალური აუდიტორი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

2. გენერალური აუდიტორის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში მას პარლამენტის თანხმობით შეუჩერდება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე ან სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3. გენერალური აუდიტორის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის შესაბამისად.

[3. გენერალური აუდიტორის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად. (ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)]

4. გენერალური აუდიტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) თანამდებობიდან გადაყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეზღუდულქმედუნარიანად ან უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
- დ) გენერალური აუდიტორის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა;
- ე) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- ვ) გარდაცვალება.

მუხლი 12. გენერალური აუდიტორის მოადგილეები

+

1. გენერალურ აუდიტორს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური აუდიტორი.

2. გენერალური აუდიტორის მოადგილეების სამსახურებრივ შეუთავსებლობაზე ვრცელდება გენერალური აუდიტორისათვის ამ კანონით დადგენილი წესები.

3. გენერალური აუდიტორის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე, ხოლო გენერალური აუდიტორისა და მისი პირველი მოადგილის არყოფნის ან მათ მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, გენერალური აუდიტორის დავალებით – ერთ-ერთი მოადგილე.

4. გენერალური აუდიტორის მოადგილეები უფლებამოსილი არიან, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, დაესწრონ საქართველოს პარლამენტის, პარლამენტის კომიტეტისა და პარლამენტის საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომებს.

5. გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე და მოადგილეები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებებს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ანგარიშვალდებული არიან გენერალური აუდიტორის წინაშე.

6. გენერალური აუდიტორის უფლებამოსილების შეწყვეტისას მის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება შეუწყდებათ ახალი გენერალური აუდიტორის არჩევისთანავე.

მუხლი 13. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტი

+

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტი სათათბირო ორგანოა. იგი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული დავა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით ამ კანონის VI თავის შესაბამისად

მუხლი 31. მოხსენებები, ანგარიშები და ინფორმაციები

+


1. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მისთვის გადაცემიდან 45 დღის ვადაში საქართველოს მთავრობას აცნობებს ამ ანგარიშის შესახებ მოხსენების დასრულების თაობაზე და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

2. მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომაზე არა უგვიანეს 2 დღისა წარუდგენს თავის მოხსენებას. მოხსენებასთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარედგინება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. ეს ანგარიში წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 ივნისისა. ყოველწლიური ანგარიში საჯაროდ ქვეყნდება.

4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი ანგარიშები ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ.



განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გენერალური აუდიტორი თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, თუმცა აღნიშნული კანონი არ არეგულირებს კანდიდატურის შეთანხმების პროცედურებს.

გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენას თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებულ აუდიტებს. გენერალური აუდიტი ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს თავისი საქმიანობის შესახებ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არ გააჩნია მსგავსი უფლებამოსილება. გასათვალისწინებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეული ავტონომიურ რესპუბლიკაში ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელმწიფო აუდიტს ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშს არ წარუდგენს განხორციელებულ აუდიტთან დაკავშირებით. გამოდის რომ ბიუჯეტის ხარჯვაზე მაკონტროლებელ ორგანოს არ გააჩნია ბერკეტი ეფექტური კონტროლის განხორციელებისა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

წარმოდგენილი კანონპროექტი ხელს შეუწყობს გაიზარდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის ეფექტურობა ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების მიერ საბიუჯეტო სახსრების, სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების კონტროლის, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების დაცვისა და საჯარო ფინანსების მართვის კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე გაიზარდება უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულება

კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს შეიქმნას გამჭვირვალე პროცედურები ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურის შეთანხმებისას

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად გენერალური აუდიტორი თანამდებობაზე ნიშნავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, თუმცა აღნიშნული კანონი არ არეგულირებს კანდიდატურის შეთანხმების პროცედურებს. წარმოდგენილი კანონპროექტი გამოასწორებს აღნიშნულ ხარვეზს და შექმნის გამჭვირვალე პროცედურებს.

მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენას თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებულ აუდიტებს. წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ანგარიშის წარდგენას თავისი საქმიანობის შესახებ, რაც გაზრდის ანგარიშვალდებულებას და უმაღლესი საბჭოს მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისა და იურიდიული პირების კონტროლის ეფექტურობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.


ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს



გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ განხილული და მოწონებული იქნა კანონპროექტი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები: გია აბულაძე, ელგუჯა ბაგრატიონი, ასმათ დიასამიძე, გიორგი დიასამიძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

